საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ცენტრალისტური კერძო

№ 208 შაბათი, მარტის 24 (11) 1918 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი საქართველო

მთავარი კომიტეტის ორგანო

ცხინვალი რაზმელების ხელშია: ოსთა ბრბო გაიფანტა.—ხმებია ოსმალებმა სარიყამიში აიღესო.—ფინლანდიაში თეთრრაზმელებსა და წითელ-რაზმელებს შორის ბრძოლაა.—უკრაინელები ტაგანროგისა და როსტოვისაკენ მოდიან.—საფრანგეთისა და ინგლისის ფრონტზე მდგომარეობა სერიოზულია.

ბანცხადების ფასი: ხვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე-პეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., კოვკასიის გარეშე მიდებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—1 მ., უკან—50 კ. ფასი ხანგლეფილი განცხადებისა ზომაზე დამოკიდებული: 15×2 ღირს 8 მან., 20×2 ღირს 12 მან., 8 ხაზის შემდეგ ხანგლეფილი განცხადება მიიღება სტამბა „ახალნი ხანებში" (კ. თავართქილაძესეული „ნადვილი") ბარათინის ქუჩა, სახლი № 14 და ეღირება ორი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კოვკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დახმარების განცხადებები მიიღება „ახალნი ხანების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხელმოწერული წერილები არ დაბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ხელ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, ახალნის ქ., ხარაგიშვილის ს. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахално Сакма", ред. кн. 190.

ფასი ტფილისში და პროვინციაში 30 კაპ. რკ. გზის სადგურებ. 35 კაპ.

ტელეფონი 12—29

დეიდა აკვილინა ნიკოლოზის ასული შვილებითურთ კაპპოადეები, ბიძები იონა ნიკოლოზის ძე ბოთეა, გერასიმე და არსენა ნიკოლოზის ძენი ფოჩხუები ოჯახითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 18 მარტს უდროოდ გარდაიცვალა საყვარელი

გერმანე (ჭიჭიკო) ნარსია

პანაშვიდი 20 მარტს სალამოს 6 საათზე მიცვალებულის ბინაზე (19 თებერვლის ქ. № 5, საკუთარი ს.) გამოსვენება 21 მარტს 3 ს. ტფ. სადგურზე წაასვენებენ ქ. ქუთაისს პოდგორნი ქ. საკუთარ სახლში დაკრძალვა კვირას, 25 მარტს, ნაშუადღევის 3 ნახ. ს. პანაშვიდი ყოველ საღამოს 6 საათზე. 330

გულ დათუთქულნი და ღრმად დამწუხრებულნი მშობლები: ეგნატე ივანეს ძე და ელისაბედ ნიკოლოზის ასული ნარსია და შვილები მათი: ნადია, გრიგოლი, კოწია მეუღლით, ვალოდია, ალიოშა, ოლია, თამარ, ელიკო, შალიკო და დისწული სოსო გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობებს და მეგობრებს რომ 18 მარტს უდროოდ გარდაიცვალა საყვარელი

გერმანე (ჭიჭიკო) ნარსიასი.

პანაშვიდი 20 მარტს საღამოს 6 საათზე მიცვალებულის ბინაზე (19 თებერვლის ქ. № 5 საკუთარი სახლი) გამოსვენება 21 მარტს 3 საათზე ტფ. სადგურზე, საიდანაც წაასვენებენ ქ. ქუთაისში პოდგორნი ქ. საკუთარი სახლი. დაკრძალვა კვირას, 25 მარტს ნაშუადღევის 3 ნახ. ს. პანაშვიდი ყოველ საღამოს 6 საათზე. 330

მინა სპირიდონის ძე, სერგეი სპ. ნდიარის ასული და მალაქია ერასტის ძე გონაძენი აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ 20 მარტს უდროოდ გარდაიცვალა ბანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ დაუვიწყარი შვილი პირველობა და ბიძაშვილი მეორისა

ბალიკო გონაძე

გამოსვენება შაბათს 24 მარტს დილის 9 საათზედ ბინიდან ქვაშვეთის ეკლესიაში; დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს ეკლესიის სასაფლაოზე, პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე. ბინა: პირველი, საპორნი ტუპიკი № 4. 337

თავგზარდაცემული და გულდათუთქული უბედური მშობლები: ბიბეილ და ბარბარე, პაპა ილია და დიდედა მატრონა, ძმა ირაკლი, დები ქეთო, თამარ და ნინო, ბიძა ივანე და ბიცოლა ლაუბა მურვანიშვილები და მამიდა დარიკო ქებაძისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, ქართველი პოლკის „პრაპორშჩიკის" ოძვირფასესის და დაუვიწყარის

ქაიხოსრო მიხ ილის ძე მურვანიშვილის

უეცრად გარდაცვალებას. გამოსასვენებენ ტფილისის მიხვილის საავადმყოფოდან პარასკევს 23 მარტს დილის 7½ საათზე სადგურისაკენ დაკრძალვა სურამის ღვთაების ეკლესიის გალავანში, კვირას 25 მარტს. 340

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე საშა, შვილები სერგი, შალვა, მიშა, პავლე, გიორგი და თამარ, ძმა დიმიტრი, რძალი მარო და ია, დის შვილები ესე და გვრანჭია ქოლინტები და ნინა ბაქრაძე, მამიდაშვილი იაგორ გოგიბერიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

ალექსი ესას ძე ხუნდაძის

გარდაცვალებას, პანაშვიდი ყოველ დღე ს. ლამის ეკლესია თბილისში (ბებაშვილის ბინაზე (ბებაშვილის შესახვევში № 1) ხუთშაბათის დამოსვენებამდე საათზე, დასაფლავება მოხდება კვირას, 25 მარტს ტფილ[illegible] სასაფლაოზე, წირვა და პანაშვიდი დაკრძალვის [illegible] ში. წერილ[illegible] ეარ გიგზავნიან. 338

[illegible] ვ. გიორგის ფა-

[illegible]ანასი

[illegible] ესმა კურსის

[illegible] და მეგობართ

[illegible] ამ დიმიტრის

[illegible] და მეორის

[illegible] ერვა დაიწ-

343

25 მარტს, დღის პირველ საათზე, ქვაშვეთის ეკლესიაში დანიშნულია ორმოცი დღის წირვა ქართლში ვერაგულად მოკლულის

ლევან ამირანდის ძის ციციშვილის

გარდაცვალებისა, რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს ილო, შაქრო, ელო, ხახე ანდრონიკაშვილები და შალვა დადიანი. 344

გრიგოლ ილიას ძე და ვერა ნიკოლოზის ასული მალალაშვილები და ვახტანგ, ლეონიდა და ანჩილ თუხარელები, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, პირველის საყვარელის დის, შეორე შვილის და დანარჩენების ძვირფას ღვიძის

ქეთევან ილიას ასული თუხარელის

გარდაცვალებას. წირვა და პანაშვიდი დანიშნულია კვირას, 25 მარტს, ვერის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში ღილის 11 საათზე. 351

1918 წლის 24 მარტს, ჩოღურღათის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში გარდახდილი იქმნება წლის წირვა მეორე კლასის კულტურ-ტექნიკურ სასწავლებლის მოწაფისა

ალექსანდრე საშურა დათაძის

რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მამა ბ. კონსტანტინე, დედა ელენე, დები ნინო და ელისაბედ, ძმა გიორგი დათაძენი და დედა მარიამ ომნაძე. პანაშვიდი გადახდილ იქნება საფლავზე—წმ. ნინოს კოკის სასაფლაოზე. 350

უბოძო მწუხარებით გულ დათუთქულნი მეუღლე მარიამ (იგივე ჯულიკო), შვილები: რაფიელი მილორავა და ვალერიანა შუბლაძე, რძალი: დარია (იგივე ცაბუა), ძმები: კვანტარ, იაგორ და გრიგოლ იოსეს ძენი მილორავები. ცოლის ძმა ერასტო ბუკუბავა, ულრმესის მწუხარებით გაუწყებენ უდროოდ გარდაცვალებას

ესტატე იოსეს ძე მილორავას

რომლის ტაძრული და უკანასკნელი გამოთხოვების დღე დანიშნულია ამა 27 მარტს ღვთის სამშობლოს ნაშუადღევის 4 ს. ბერძნის ქ. საკ. სახლში. პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 7 ს. 349 1

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარეგოლიუციო პარტიის ხაშურის ორგანიზაცია აცხადებს, რომ კვირას, 25 მარტს, 12 საათზე, ადგილობრივ წმ. ივანე მახარობლის ეკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვიდი ამხანაგ

დავით ჯაფარიძის

გარდაცვალებიდან ოთხმოცი დღის შესრულების გამო.

სამუდამოდ დაჩაგრულნი მშობლები: ნესტორ ასლანის ძე და ვასასი იულონის ასული ჯაფარიძენი, მათი შვილები: კოწია, ანიკო, გრიშა და საშა, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ 25 მარტს ქ. ხაშურში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი, მეორემ დაუვიწყარის პირველთა შვილის, ხოლო მეორეთა ძმის

დავითის

სულის მოსახსენებლად. 346

მე-6, მე-7 და მე-8 უბნის სახლის კომიტეტების კრება

კვირას 25 მარტს, დილ. ს 11 ს. ბელაბრის კლუბში (ახალთის ქ. № 5) დანიშნულია მე 6, მე 7 და მე 8 სამოქალაქო უბნის სახლის კომიტეტების წარმომადგენელთა კრება პრის ფასის მოძიების შესახებ.

სურსათის მიწოდებულობის შესახებ მოხსენებას წაიკითხავს ქალ. გამგეობის წევრი დ. პოპოვი. ქალ. გამგ. სახურსათო განყოფილება. 1121

სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტია

კვირას 25 მარტს ტფილისს „კრეტოკას" ბინაზე დანიშ[illegible] ლეგაცია სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების წევრების ნ. ბერეზიანისა და ი. თუმანოვის:

„თანამედროვე რუსეთი"

(პირადი შთაბეჭდილებანი რუსეთსა და პეტროგრადში მოგზაურობიდან).

დასაწყისი სრულ 11 საათზე.

ბილეთების მიღება შეიძლება ს.-რევ. პარტიის გულოვ. რაიონის კომიტ. ბიუროში (ე 3 ვაჟების გიმნ.) ვილიამინოვის ქ. 5—8 საათამდე, ხოლო ლეკციის დღეს „ეკრუ ეკში".

დიდი ცირკი ძმ. ეფიმოვებისა

მიხვედის ბრ., ბუშტ. ახლო, საკუთ. ახლად შეკეთ. კაპიტალური საზაფხულო შენობა, ტელეფ. 19—60.

დღეს 24 მარტს, მიიღება

„საზაფხულო სეზონის"

გახსნა ახალი მსახიობების მონაწილეობით. შრავალი ახალი სანახაობა.

ანონსი: კვირას 25 მარტს გაიმართება 2 საღამოსასწაული წარმოდგენა. დილით ბავშვებისთვის დაკლებულ ფასებში. დაიწყება 11 ს., საღამოს—8 ს. დასასრული 11 ს. 347

ქართული კლუბი

ქვირას 25 მარტს 1918 წ.

ქართული დრამატიული დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ცნობილი ტრაგედია ფრ. შალლერისა

ყაჩაღები

ტრ. 5 მოქმ.

მონაწილეობს მთელი დასი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. 1071

ქართული თეატრის აღორძინება

ქართული დრამატიული საზოგადოება მოუწოდებს ქართველ ინტელიგენტ ახალგაზრდობას (18 წლ. 30 წლამდე) გამოცხადდნენ ნახსენერად სრულიად ახალ დასის შესადგენად ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ დაარსა სასცენო ხელოვნების სტუდია. ამ სტუდიაში მოაზადებულ მსახიობებით გამართავს წარმოდგენებს ჯერ ტფილისის სახალხო თეატრის შენობაში და შემდეგ თავის საკუთარ თეატრში. მსურველნი ამ სტუდიაში სრულიად უფასოდ შეისწავლიან: ლიტერატურას, ისტორიას, ენციკლოპედიას, რიტმს ლაღარეულის სხვადასხვა, ფარიკაობას, ბრძოლს, ხმის დაყენებას და ვისაც ხასიათდარეულ ხმა აღმოაჩნდება—სიმღერას, თუ რომელსაც შინაგალ მსახიობს აღმოაჩენდება მუსიკის ნიჭი, შეისწავლის დაკვრას იმ ინსტრუმენტზე, რომელსაც მოისურვებს.

დაწერილებითი ცნობები მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ ქართველ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში რომელიც იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე № 11. ჩაწერა დაიწყება 21 მარტს და გაგრძელდება მხოლოდ ორი კვირა, ე. ი. 5 აპრილამდე.

კანტორა ღია ა დილის 10—2 საათამდე და ნაშუადღევის 4—6 საათამდე.

ტფილისის გარეთ მცხოვრებთ შეუძლიანთ წერილობით გვაცნობონ ამ ინსტიტუტის: ქართველი დრამატიული საზოგ. გამგეობა. 1117

ეუდენის მალაზია ხუციევისა

გადავიდა იმავე ქუჩაზე, ეზოში, ბანოვის ქ. № 9. ყოველგვარი შეკეთა. 348

ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible] 24 [illegible] 1918 [illegible]

ცხინვალის შესახებ ჯერ [illegible]. კიდევ არა გვაქვს ბოლოდროინდელი დაწერილებითი ცნობები. თანამშრომლები გვაწვდიან ყოველ ამბავს და საზოგადოებას გადავსცემთ ცხინვალის დრამის ყოველ წერილებს. მაგრამ დღეს ერთი რამ აშკარად და გადაჭრით შეგვიძლიან ვსთქვათ: სამწუხარო, საშინელი, ველური ამბები მოხდა. ველაგითარი მოსაზრება, ველაგითარი სიტყვა, ველაგითარი მიზანი ვერ გაამართლებს იმ ბრბოთა სიმახინჯეს, რომელთაც მოისურვეს რევოლიუციის და ჩვენი ქვეყნის გადამახინჯება.

რა ამბავი მოხდა ცხინვალში? ოსეთის კორესპონდენტები გვაუწყებენ, რომ ოსთა ბრბოების მეთაურობით ნაძირალები შეეცადნენ ბოლშევიკურ ს მოსკოვში გაეტვინთ მთელი ხალხი და ეხლანდელ მთავრობისა[illegible] დღეინდელ სახოგადოებრივ განწყობილებისათვის მახვილი ნ[illegible]ცთ. თუ მართლა ასეთი ვი[illegible] ბოლიტიკური მიზანი ჰქონდა ოსთა ბრბოებს, ეს იქიდანაც ა[illegible]ერად სჩანს, რომ რევოლიუციის გვარია და პროპაგანდისტები დასცეს საშეიდობო მიტინგზე, ვაძარცვეს ხალხი, საშოსელი წაართვეს ვგარდიელებს, დასწვეს ვენახები, ბაღები, ხოლო მოკლული ხალხიგადი ბოდიშწყენა დაასახიერეს.

ჩვენ საგანგებოდ გაგზავნილი კორესპონდენტები გადმოგვცემენ, რომ შეუძლებელია დაწერილებით აიწერის დასახიერებული ადამიანები გულისა და გრძნობის აუწერელად. სიღატაკე, ბატარეულობა, სიშიმღეგე, წარმოუდგენელი ბარბაროსობა—ეი რა სიტყვებით შეიძლება დავახასიათოთ ცხინვალის საშინელი დრამა. ოსთა ბრბოები ან დაეუფლნენ საშარცვინოს განზრახვით, აიძულეს საბრალო ქართველი გლეხები მათ ველურში ამოსდგომოდათ და მონაწილეობა მიეღოთ უშვალოდ ბარბაროსობაში. ასეთი ამბები ყოველ მოქალაქის და ადამიანის შეაძრწუნებელია, ცხინვალის დრამა საშარცვინო ლაქაა ოსთა ცხოვრებაში და ყოველი ოსი მოქალაქე ადაფეთებული იქნება ცხინვალის ბარბაროსობით.

ჯერ ჩვენთვის აშკარაა, რომ ცხინვალი ფლიდური დასაკვნა იმ ბარბაროსობისა, რომელიც რამდენიმე თვეა სწარმოებს ქართლში თავადაზნაურთა ბოიკოტის სახით, ეხლა აშკარაა რომ ნაძირალები გამოამზადეს ბოლშევიკოფილების წარმოებით და მიზნად მთელი ქართლის დარბევა დასახეს. კორესპონდენტი გვაუწყებ[illegible] ცხინვალის ბრბოები [illegible] დიოდნენ ერთის ასაწ[illegible]

დღეს, როდისაც ძვირფასია ჩვენთვის ყოველი მოქალაქე, როდესაც სასიცოცხლო საკითხად გადაიქცა ყოველი ტყვია და წამალი, როდესაც რევოლუციის გარს მოსდგომია მტერი, ამ დროს ჩვენ თავს გვესმინა ორობის და უფ ამიანობის ბოიკოტულები და ომში წაულ ოჯახებს და ამხანაგებს ელეტენ და არბევენ.

სიოცხვილი და ზიზღი უნამუსო, მოქალაქეობრივად ღირსება აყრილ ბარბაროსებს. მაგრამ მონებმა არ იციან სიოცხვილის სიწითლე. ვინც არ თაკილობს ადამიანს თვალები დასთხაროს, სხეული ნაკუწნაკუწად აქციოს და სჯ ჯანოს განსვენებულის არსება, ვინც ხადრად გადაქცეულა, მისთვის არ არსებობს სიტყვის, ქალის, პატიოსნების ენა.

ცხინვალის ავაზაკები უნდა დაისაჯონ. უნდა დაისაჯონ რევოლიუციონუო სამართლის უსასტიკესი წესებით, უნდა დაითრგუნოს მათი სინსილა მთელი ცხინვალისათვის, აგრედვე ყველა იმ ბოროტმოქმედებისათვის, რომელიც მათ ჩაიდინეს ქართველ თავადაზნაურების დახოცვით და დაბეგვით.

ხალხმა უნდა გასცეს ავაზაკები, სოფელმა უნდა რევოლიუციის კეთილდღეობისათვის შეუფოალებელი პასუხი მოსთხოვოს თანაამედროვე მოძალეებს. ვიდრე ყველა გაიძვეოა არ იქნება შეპყობილი და გასამართლებული, ვიდრე რევოლიუციის ძალის სუნი არ მოღუნავს ოთა ბრიოებს, მანამდისინ რევოლიუციონურ ზარაბანის ლულა ვერ მოშოოდება ავაზაკთა სამყაროს.

სასტიკი სასჯელი ავაზაკებს!

საჭიროა გასმარტება

ქუთაისურ გაზ. „ეროკ. ოკვ. ნოსათმ.“ ვკითხულობთ: „ქუთაისური ესერები მობილიზაციის წინააღმდეგნი აღიან და ამიტომ ისინი ლეჩხუმში არ შეუშვითო. იცით ვინ აღიარეს ამას?—კითხულობს გაზეთი და შემდეგ პასუხი იძლევა: „ამას ამბობს ის გრ. გიორგაძე, რომელმაც მობილიზაციის ოფიციალურად გამოცხადების რამდენიმე დღის წინად ეთხოვა ჩვენს ინსტიტუტს, რომელიც შეოთხე უნივერსალმა შემოხვეა პოლტავა, ველეპოლიე და სუმა უკრაინტრ. რადის ხელშია. უკრაინის საბჭოს მთავრობა ტაგანროგში გადასახლდა. უკრაინელ-გერმანელები მიდიან ხარკოვის, ტაგანროგის და როსტოვის დასაპყრობად. ახლო მომავალში ბოსლოდნელია ხარკოვის აღება. ემუქრებიან აგრეთვე ტაგანროგსა და როსტოვს.

—

უკრაინის ცენტრ. რადამ წინადადება მისცა სახალხო კომისარებს მოსკოვში ზავი შეეკრათო. უკრაინა უარს ამბობს ვოროხეკის გუბ. და კურსკის გუბ. ნაწილზე.

უკრაინის საჭიროების მთავრობამაც გაგზავნა მოსკოვში თავისი წარმომადგენლები მოსალაპარაკებლად. მოსკოვი ალბად, იძულებული იქნება ცენტრ. რადასთან გამართოს მოლაპარაკება, რადგან მას კიდ დახმარებას უწევენ გერმანელები.

—

...ოლქში აგრარული მოძრაობა... და გლეხებს მიწის გადა... ...ზეიარიდებული შეტა...

ასეთივე მდგომარეობაა რუსეთის სხვა ადგილებში.

გამოიცა სადანაგო ინსტრუქცია მიწის სოციალიზაციის შესახებ. ხელახლად არსდება საადგილ-მამულო კომიტეტები.

—

ჩრდილო გუბერნიებში სიმშილობაა პირდაპირ აუწერელია. ეს უმწეო მდგომარეობა, რომელშიც ჩრდილო გუბერნიების მცხოვრებლები იმყოფებიან.

—

მოსკოვსა და პეტროგრადში შესვლა სასტიკად აღკრძალულია. აღკრძალულია შესვლა ეგრედვე სხვა ქალაქებშიც. მოსკოვსა და როსტოვს შორის მიმოსვლა არ არსებობს, და არც რაიმე კავშირი (ფოსტა ტელეგრაფი და სხვ.).

—

კიევში როგორც ხმები დადის სრული სიწყნარე დამყარდა და ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგა. გერმანელებს სურსათი გაუქვთ.

—

ხელიდან ხელში გადადის **ოდესა, ნიკოლაევი** და **ხერსონი.** ვის ხელშია ეს ქალაქები, დანამდვილებით არ შეიძლება ითქვას. უკანასკნელი ცნობებით ოდესიდან გაძევეს გერმანულ-უკრაინული მთავრობა შავი ზღვის ფლოტის დახმარებით, რომელიც ოდესას უშენდა ყუმბარებს.

—

ხიგახტომოლი ემზადება დაიცვას თავი გერმანელ-უკრაინელებისაგან. თავრიდის გუბერნიაში თათრების ბურჟუაზიულ და დემოკრატულ ელემენტებს შორის ბრძოლაა. ჯერხანთით დემოკრატიული ელემენტი იმარჯვებს.

—

ხარკოვში ცხოვრება ნორმალურად მიმდინარეობს, თუმც ქალაქს სცლიან. განზრახულია უბრძოლველად გადასცენ ქალაქი გერმანელ-უკრაინელებს.

—

როსტოვში დახურეს გაზეთი „რაბოჩეე სლოვო“, მხოლოდ ბოლშევიკური გაზეთები გამოდის. მენშევიკები და მემარჯვენე ს.-რევ. კონტრრევოლიუციონერებად გამოაცხადეს და მ. საბჭოდან გააძევეს, ისინი არა ლეგალურ მდგომარეობაში არიან.

—

ფინლანდიაში ბრძოლაა თეთრ-რაზმელებსა და წითელ რაზმელებს შორის. ძალა-უფლება წითელ რაზმის ხელშია.

—

ხაფრანგეთის და ინგლისის ფრონტზე მდგომარეობა სერიოზულია. გერმანელებს განზრახული აქვთ ინგლისელებისა და ფრანგების დაშორება, რათა სოლივით შეიჭრან მათში და ცალ-ცალკე დაამარცხონ.

ცხინვალის გარშემო

ცხინვალის ამბები

ცხინვალის ამბები საკუთეესო დამამტკიცებელი საბუთია იმისა, რომ არსებული კონსტრუქცია ამიერკავკასიის მთავრობისა შეუძლებლად ჰხდის წესიერების დამყარებას არა მარტო მთელ ამიერკავკასიაში, არამედ საქართველოს ბუა-გულშიაც კი. შეუძლებელია არსებოდეს მთავრობა, საკანონძალო დაწესებულება, მთელი სახელმწიფო ფუნქციები მექანიზმი დაჩოლდ ეროვნული დიალოგი და ცხოვრებელ ოსეთ-ოსეთ ... ...ოლ ... ...ოლ ... ...ოლ

კვირას, 25 მარტს, საღამოს 7 საათზე, პარტიის კლუბის დარბაზში გაიმართება

საგანგებო პარტ. კრება არჩილ ჯორჯაძის ხსოვნის აღსანიშნავად

ამხ. გრ. რცხილაძის თავმჯდომარეობით სიტყვებს წარმოსთქვამენ: დ. უზნაძე, შ. ნუცუბიძე, ალ. მდივანი, ა. ჭუმბაძე, ე. ტოროტაძე

კავკასიის მთავრობის წინაშე, რათა ხაზინა დაეხმაროს 31 ათას მანეთის მიცემით ტფილისის გუბერნიაში. ერთად-ერთს სამეურნეო სასწავლებელს წინამძღვარიანთკარის სკოლას.

→ შაბათს 24 მარტს 1918 წელს ძველი ოპერეტიული დასი წარმოადგენს პირველად ახალი კლუბის თეატრში ცნობილს აზიურ ოპერეტას „არშინ-მალ-ალანს", 4 მოქ. გაჯიბეგოვისა. ასკარას როლს შეასრულებს მ. ჯანველოვი. „ბრილიანჩიკების", ოქრომჭედლების, მესაათეების და გრავიორების კავშირის კასის სასარგებლოდ. დასაწყისი 7 საათზე. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

საძ. სოც.-ფედ. სარ. პარტიაში

ფედერალურ საბჭოს დადგენილებით, არჩილ ჯორჯაძის ხუთი წლის თავს აღნიშვნა სხვა დროისთვის გადაიდო, ვინაიდან დღევანდელ განსაკუთრებულ პირობებში, ღირსეული აღნიშვნა მისი ხსოვნისა ვერ მოხერხდება.

ხოლო კვირას, 25 მარტს საღ. 7 საათზე ჩვენი მოძღვარის ხსოვნის აღსანიშნავად გაიმართება პარტიულ ამხანაგებისთვის საგანგებო პარტიული კრება ამხ. გრ. რცხილაძის თავმჯდომარეობით სიტყვებს წარმოსთქვამენ დ. უზნაძე, ალ. მდივანი, შ. ნუცუბიძე, არ. ჭუმბაძე, ერ. ტოროტაძე.

—

კვირას, სრულ ათ საათზე ბიუროში (სამკითხველოს ბინაზე) დანიშნულია სამკითხველოს გამგეობის კრება. ვსთხოვთ ყველა იმ ამხანაგებს რომელსაც რაიმე დახმარების გაწევა სურს—აუცილებლად დაესწროს.

—

კვირას 25 მარტს, დილის 11 საათზე სოც.-ფედერალისტთა პოლიტიკურ კლუბის დარბაზში, ამხ. გ. ხმალაძე წაიკითხავს რეფერატს: „ეთიკური ძალები არჩილისა" დასწრება შეუძლიათ მხოლოთ პარტიულ ამხანაგებს.

—

შაბათს, 17 მარტს, რკინის გზის სამართველოში შესდგა ამიერკავკასიის და კახეთის რკინის გზის ს. ფედერალისტ მოსამსახურეთა და მუშათა მრავალრიცხოვანი კრება.

კრების თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქმნა ამხ. ვ. მუსხელიშვილი და მდივნად არ. ფანჩულაძე.

თავამედროვე მომენტზე და პროგრამულ საკითხებზე სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. ი. ბარათაშვილმა, არ. ჯ. ჯ ნაშვილმა და არ. ფანჩულაძემ.

მოხსენებას კითხულობს „კოლექტივის" დაარსების შესახებ ამხ. ალ. თავდგირიძე. მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა, რის შემდეგაც კრებამ დაადგინა: რადგან კახეთის რკინის გზაზე არსებობს ისეთი კოლექტივი, რომელიც აკავშირებს წევრებს; ამისათვის საჭიროა აძიერკავკასიის რკინის გზაზედაც დაარსდეს ასეთი კოლექტივი და აგრეთვე კრებამ ერთხმად საჭიროდ სცნო ცენტრალური „კოლექტივი"-ს დაარსება, რომელიც იმოქმედებს პარტიასთან შეთანხმებით და რომელიც ხელს ეწყობა ნელილობას გაუწევს ხსენებულ კოლექტივებს და მის წევრებს.

ცენტრალურ კოლექტივის მიზანია შეაკავშიროს საქართველოს რკინის გზაზე მომუშავე ს.-ფედერალისტი კოლექტივის წევრებად აირჩიეს: ვ. მუსხელიშვილი, რ. ვედაგურიძე, მაკაცარაშვილი, ვ. ფორდანია, ი. ყირიმელაშვილი, პაატაშვილი. და კანდიდატად დიასამიძე, ხოლო ამიერკავკასიის რკინის გზის ორგანიზაციის წევრებად აირჩიეს:

თავდგირიძე, ანანიაშვილი, აბელაშვილი, გობეჯიშვილი, გეგენავა, მენთეშაშვილი, ხიმასურიძე. კანდიდატად სარაჯიშვილი. კრებამ დასასრულ სიტყვით მიმართა ამხ. ვ. მუსხელიშვილმა, რომელმაც აღნიშნა დიდი მნიშვნელობა ახლად დაარსებულ „კოლექტივი"-ს. მოუწოდა ამხანაგებს ნაყოფიერი მუშაობისათვის საამბოხოლოს და მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ.

მორიგი პარტიული კრება

ოთხშაბათს, 21 მარტს, პარტიის კლუბში გაიმართა მორიგი საზოგადო კრება პარტიის წევრებისა. კრების საგანი იყო მოხსენება მიმდინარე მომენტის შესახებ. მოხსენება წაიკითხა ამხ. შ. ნუცუბიძემ, რომელმაც დაახასიათა დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობა ამიერკავკასიისა, ურთიერთობა ამიერკავკასიის ერებისა და საშუალებანი ჩვენი ქვეყნის ხსნისა მოსალოდნელი ანარქიისა და დაღუპვისაგან. მოხსენების შემდეგ თავიანთი მოსაზრებანი გამოსთქვეს მიმდინარე მომენტის შესახებ ამხანაგებმა არ. ჯაჯანაშვილმა, შალვა მესხიშვილმა და ვახტანგ კოტრიშვილმა. მომხსენებლის უკანასკნელი სიტყვის შემდეგ ამხანაგმა გრიგოლ რცხილაძემ დასკვნა გაუკეთა აზრთა გაცვლა-გამოცვლას და გამოარკვია, თუ რანაირი უნდა იყოს ხაზი ჩვენი პარტიული მოქმედებისა შექმნილ პირობებში. ორატორთა საერთო აზრი ის იყო, რომ საჭიროა ენერგიული პარტიული მუშაობა იმ აზრების განსახორციელებლად, რომლებიც თანდათან ბევრს მომხრეებს იჩენს ხალხის ფართო მასაში.

მოხსენებას დიდძალი ხალხი დაესწრო. დარბაზი სავსე იყო ხალხით.

—

ვერის უბნის წევრთა კრება შაბათ, 24 მარტს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია ს. ფედერალისტთა ვერის უბნის წევრთა და თანამგრძნობთა საერთო კრება. კრების მიზანია პრეზიდიუმის არჩევა და მიმდინარე საკითხების განხილვა. კრება დანიშნულია ქართული გიმნაზიის შენობაში.

† პეტრე ჩხაიძე

21 მარტს ალექსანდროპოლში თათრებთან შეტაკების დროს მოკლულ იქმნა ჯარის-კაცი (პრტილერიტ) **პეტრე ჩხაიძე.** ვინც იცნობდა განსვენებულის პიროვნებას, ის ადვილად წარმოიდგენს თუ ეს პატარა ადამიანი რა დიდი დანაკლისია ქართველი ერისათვის. ლანჩხუთის საზოგადოება კარგად იცნობ. პეტრეს, აქ ხან იგი ასკურავასთან ერთად დიდი სანსასუნი გაუწია თეატრის საქმეს. ჩვენს დაბაში ეს ორი პიროვნება ითვლება თეატრის და სცენ მოყვარეთა ჯეფის საძირკველის ჩამყრელად. გასათლებით ის აგრონომი იყო და დიდან სწავლის გათავებისა (საბ. სასწ.) სოფლად მუშაობდა. ამასთანავე თანამშრომლობდა ქართულ ეურნალ-გაზეთებში „დიოგენის" („თეძრი") და „პ. ზეგნელის" ფსევდონიმით, ბევრს ეხსოვნება მისი დასაბუთებული წერილები გურიაში კრილოვის და ალიხანოვის 1915 წ. შავი საქმეების შესახებ. განსვენებული ეკუთვნოდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას და ისეთი პატიოსანი ადამიანი იყო, რომლის მაგალითს ჩვენ „კურთხეულ ქვეყანაში" ნაკლებად თუ ეოიძებენება. დღიდან ომის გამოცხადებისა თავ-განწირვით იბრძოდა გერმანიის საზღვრებზე, სიმამაცისათვის ის იყო დაჯილდოვებული ორი ჯ და 4 ფმ. გიორგ. ჯვრით მასთან „პოდპრაპოზჩიკის" ჩინით. დღეს კი რევოლიუციისა და სამშობლოს სამსახურში დალია სული...

საუკუნო იყოს ხსენება შენი, ჰეროიოსანო ადამიანო! ქართველი ერის და კერძოდ შენი ნაცხობ ბეგობრების გულში არასოდეს არ წაიშლება შენი სიყვარული.

კოკი ებრალიძე.

რუსეთის ფრონტებიდან საქართველოში

მოხკოვიდან როსტოვამდე

კოზლოვს აქეთ აქა-იქ პური შეგვხვდა. ჰყიდდნენ თეთრ პურს. ეს ისეთი უჩვეულო რამ იყო, რომ თითქმის არც კი გვჯეროდა, რომ ამდენი ხნის სიმშილობის შემდეგ უეცრად თეთრ პურით დავიკმაყოფილებდით მადას. ცოტა აქეთ—კი, ვორონეჟიდან თეთრი პური მოგვებზრდა კიდეც, 8—9 გირვანქიანი პური, საუკეთესო თეთრი ეყიდებოდა 3 მანეთად. ყველა მხიარულ გუნებაზე დავდექით. და გვქონდა კიდეც საბაბი. მკითხველო, თუ ტფილისს გარეთ არ ყოფილხარ, თუ ჩრდილო რუსეთში არ გიცხოვრია ამ ბოლო ხანებში, შეიძლება ვერც კი მიხვდე ჩვენ განცდას. ჩვენ კი, ვისაც სისტემატიურად შიება, და ხშირად რამდენიმე დღე პირდაპირ უპურო მჯდარა, ჩვენ გვქონდა სიხარულის უფლება. მაინც და მაინც ფიზიოლოგიურ ფაქტორს დიდი როლი მიუძღვის სულიერ განწყობილების შექმნაში.

მოსკოვიდან როსტოვამდე კარგად ვიმოგზაურეთ. არც გაუჩხრეკივართ. ჩვენ მატარებელს მოსდევდა ქართული სამხედრო კომიტეტი, რუსეთის ყველა ფრონტის. ამ კომიტეტს სახალხო კომისარიატიდან წამოღებული ჰქონდა ყველა საჭირო დოკუმენტი, ამ დოკუმენტებს როსტოვამდე გასაგალ ჰქონდა, და ჩვენც როსტოვამდე მხიარულად ჩამოვიდით. რა ჯაოთ, რომ გზაში დიდხანს დავბანდდით. სამაგიეროდ სულმა მოისვენა, და ჩვენ ამდენი ხნის მოღლილი ეს უფრო გვესაროებოდა. მაგრამ ის სიამოვნება, რომელიც განვიცადეთ მოსკოვიდან როსტოვში, ჩაგვხამდა როსტოვს აქეთ, და ეი ამ ჩაშამებაზე უნდა მოგახენოთ ერთი-ორი სიტყვა.

ტიხორეცკაიაში.

ჩამოდგა თუ არა ჩვენი ეეთრი მატარებელი ამ სადგურზე, გაჩნდნენ ჯარის-კაცები, რომლებმაც გადაჭრით მოითხოვეს მატარებლის გაჩხრეკა. გავგზავნეთ კომიტეტის ვაგონში, მაგრამ ვერაფერთარმა ქაღალდმა ისინი ვერ შეაჩერა. როსტოვს აქეთ ჩვენ დამოუკიდებელნი ვართო. დაიწყეს ჩხრეკა. მაგრამ ეს ჩხრეკა არაფერი. საშიშ ატმოსფერას ჰქმნიდა ის ბრბო, რომელიც სადგურზე დაგვხვდა. ახალი სენია. თურმე ყოველ მატარებელს ჰხვდება ეს ხულიგნური ბრბო, ცარიელი ტომრებით და კალათებით, იგი სცდილობს რაიმე პროვოკაციის საშუალებით ხელი იგდოს ხატარებლის ბედი, დაარბიოს, და ასე ცარიელი ტომარა კალათები გაავსოს ოჯახის გასაძღიერებლად, ღღეო საშოკად ეს გადაჰქცევია. ეს ძალიური გახდა, და რა რევოლიუციას „გალეშავეს" ეს ხალხი, ადვილი წარმოსადგენია.

დაიწყეს თუ არა ჩვენი მატარებლის ჩხრეკა, ბრბომ წიხ წამოწია და ასტეხა გინაობა. ეგენი კონტრ-რევოლიუციონერები არიან, მოგვეცით ჩვენ, ჩვენ გავალაბორთლეთო. ბრბოს გარეგანში ძალიან საშიშ ხასიათს ღებულობდა. „самосуд-ი ჰყვიროდნენ. თვით სადგურის დაცველ რაზმს შეეშინდა ბრბოს ღელვის, და ჩვენი მატარებელი ორი ვაგონის სიშორეზე უკან დასწიეს გადაყვანეს ბანდ ლიანდაგზე, სასწროდ გაიოწვიეს ცხენოსანთა რაზმი, სადაც ჯ-დ და ასე შეუარეს გზა ბრბოს გაღიზიანებულ სინდისს საშოვრის მაძიებელ მშიშარა ავაზაკებს ჩვენ მატარებელთან არ უშვებდნენ.

პირველი ჩხრეკა თავაზიანი იყო. თვით პატრონები ხსნიდნენ თავიანთ ბარგს, ჯარისკაცები სინჯავდნენ, და ასე ჩხრეკის წესიერება ამ დროლვეულა.

იარაღი რაც ნახეს, წაიღეს. ნებართვას გასავალი არ ჰქონდა. შეადგენ კომისარიატმა იარაღი ისევ დაუბრუნა იმათ, ვისაც საამისო ნებართვა ჰქონდა. ჩვენ დავმშვიდდით გამგზავრების მოლოდინში, მაგრამ ჩვენ მატარებელს მაინც არ უშვებდნენ. სასწრაფოდ გგზავნეს ჩვენებმა დეპეშა ჯულაშვილთან, რომლისგანაც მალე მოვიდა პასუხი, ქართული მატარებელი დაუბრკოლებლივ გაუშვითო. მაგრამ ორი. ამ დეპეშაზე ადრე მოვიდა ახალი ჯარი, კორნილოვის მეორ დამარცხებული და გამოქცეული. (ბრძოლა სწარმოებდა ჩვენგან 25 ვერსზე) ამ გაბრაზებულ ჯაოს დაბვდა ჩვენი მატარებელი. ახლა ამათ აეშალათ ჩხრეკის საღერღელი. ისევ ჩხრეკა. ნება დართული იარაღი ისევ წაიღეს. ჩაოეკა მესამედაც განმეორდა. სადგურზე კარგად ბრბო მაინც უცდიდა. იმედს არ ჰკარგავდა. როგორც იქნა დილის 5 საათზე ჩვენი მატარებელი დაიძრა. კომისარიატის განცხადებით, ჩვენ მატარებელს დღითვე უპირებდნენ გაშვებას, მაგრამ გრბოს ღელვის შეშინებიათ, და გადაწყვეტილთ ღამით ჩუმად გაპარება. ეს ასეც მოხდა.

მოსვენებათ ამოვისუნთქეთ.

კავკაზსკაიაში.

დილის 11 საათზე კავკაზსკაიაში ვიყავით. აქ ჯერ სიწყნარე იყო. ალარავითარ ექცესებს არ მოველოდით. ყველა მხიარული იყო. მატარებლებიდან ხალხი გამოფენა სურსათის საყიდლად. ტიხორეცკაიაში შიშის გამო ყველა ჩვენგანი მშიერი დარჩა. მაგრამ მოსვენება აქაც ხანმოკლე გამოდგა. ტიხორეცკაიდან გამოგვაყოლეს ჯარის კაცთა რაზმი, ჩვენდა დასაფარად. თანაც მათ ადგილობრივ კომისარიატისათვის უნდა მოეხსენებინათ, რომ მატარებელა გაჩხრეკილი იყო და ღარ გეჩხრეკათ. მაგრამ ეს დანშულება მათ უკულმა შეაბრუნეს. ამ რაზმის ზოგიერთი ჯარის-კაცი მოსდებოდა ხალხს, და პროვოკაციას ალვივებდა. მათ საწადელს ნიადაგი უმზადდებოდა. ჯგუფი უკვე შედგა, იწყო ამ ჯგუფმა ზრდა, და საბარგო ვაგონებმა მოიყარა თავი. ვიღაცას ეთქვა, რომ ამ ვაგონში კუბო არის, შიგ კი ცხვდრის მაგიერ პულემიოტები ალაგიაო. პროგოკაციისთვის საუკეთესო ხერხია. ბრბო საგრძნობელი შეიქმნა. გაეღო კომიტეტმა ვაგონი და აჩვენა, რომ შიგ ცხედარი იყო. მოსკოვიდან წამოიყვანეს მოხუცი წერეთელი. იგი გზაზე გარდაიცვალა. როსტოვში უყიდეს კუბო და მოჰქონდათ საქართველოში. ბრბო დარწმუნდა რომ კუბოში ცხედარი იყო და ცოტა ხნით დაცხრა. ამ ხნის განმავლობაში ჩვენი მატარებელი გასამგზავრებლად უკვე გამზადეს. საჩქარეკად აქაც მოვდნენ, გაჩხრეკეს, და წადეს ისევ იარაღი, ნება დართული დაურთველი. ალსანიშნავია, რომ როდესაც ჯარისკაცები კომიტეტის ვაგონში შეეთვალნენ, მათი უფროსი შედგა, მოიხადა ქუდი და დაიწყო ბოდიში, ვაგონში ორი წითელი დროშა გვქონდა კედელზე გაკრული.—„არ ვიცოდი, თუ წმიდა დროშები იყო აქ, თორემ გასაჩხრეკად არ შემოვიდოდი". შედეგ მიუბრუნდა ჯარისკაცებს და მიმართა, რომ ამ ვაგონს მე ვერ გაეჩხრეკავ, აქ რევოლიუციის წმიდა დროშებია, ჩემს თანამდებობას კი დავტოვებო, და წავ და. ეს ლამაზი, ხამდვილი რევოლიუციონერის მოქცევა რასაკვირველია, ვერ მოხვდა გაჭხეცებულ ჯარის-კაცების გულს, უკან კი ჯაჭვნენ, მაგრამ რისხვით და ლანძღვა-გინებით. სთქვეს, რომ ის კომისარი იმავ ჯარი კაცებმა დახვრიტესო. სხვათა შორის, დახვრიტეს იმ რაზმის მეთაური. ტიხორეცკაიადან რომ გამოგვაყოლეს. ჯარისკაცები გაიფრთხილა, მგზავრის ბარგს აო შეეხოთო, და ეს გაფრთხილება გადაქცეულ ის საბედისწეროო დანაშაულად. ჩვენ მატარებელს მესაძე ზარი მისცეს. დაიძრა. მე კომიტეტის ვაგონიდან კიბეზე ჩამოვდიოდი ჩემს ვაგონში გადასასვლელად, და სწორედ ამ დროს ატყდა ყიჟინილი, სროლა. უშენდნენ ისევ იმ საბარგო ვაგონს. ძე ამ სურათა კარგი ეხედავდი, რადგან ეს სროლა ორი ვაგონის შემდგ სწარმოებდა. ვაგონზე ხალხი ასხული იყო, სოფლის დროს თითოთვე მოჭკლეს ორი თავიანთი ამხანაგი და ერთი სომეხი, რომელ ც მატარებლის ბრბოდა, შესახტომად. მათ კი შემდეგ ბრალ დასდეს, იმან მოგვიკლა ორი ამხანაგი და გაიქცაო, ორსავსაც მოველალითო. ეს თაკის-ძარი ლება რასაკვირველია ტყუილი იყო. მატარებელი გაჩერდა. იგოიანა ამ ჯარმა და ვაგონები ისევ აიყარ ხატიანი თობებით, იმ გარჩეკით კი, რომ მათი სიმკაცრე უნდოლეს წერილზე იყო ასული.

მიზეზი სროლის ნამდვილად ის იყო, რომ ახლ ბრბოს იმ საბარგო ვაგონის გაშინჯვა მოესურვებინა. კაცი, რომელსაც ვაგონის გასღები ჰქონდა ვერ ვიპოვეთ მალე, ბრბოს ეგონა ოლაცას ალავენო და აუტეხეს სროლა, დ უწყეს ტეხა.

ასე იყო ნადგილად. ჩვენ კი შარი მოგვდეს, თქვეთი ვაგონიდან გვეს-ოლეთ. ეს უსინდისო პროვოკაცია იყო, მაგრამ რას გავაწყობდით? შემოცვივდნენ ჯარის კაცები გაბრაზებულ თოფებით და მოგვიმზერეს ათეთ-ოდ. ბრბომ გარეთ განგაში ასტეხა. სწორედ ამ დროს დაიძრა სახალხო მატარებელი ერმავრილ კენ, რომელსაც გაეყარა ჩვენი კომიტეტი. წევრი ნიკო ხაბიშვილი. მას უნდა საქმე ეგვარეინა, ორმ არავიბრბი ჩავლ. სათანავე თუთრე ბევრ ჰკათხვენენ პიროდაპირი მგზავრულით ჩვენ მატარებლის შესახებ, მაგრამ პასუხის მიმცემი არავინ იყო. ჩვენ კი ეი რა „ეიდი" გვეწია: ის სერთო განგაშის დროს, ჩვენი მატარებელი უკან წაიყვანეს ხელი ხაბიჯათ. ჩვენ ტიხორეცკაიას ანბავს ველლოდით, მაგრამ „ეიდები" არ გაგვიათლდა. გავიბედეთ ფანჯრებში და შეიარაღებული ჯარი, თოფებით, ტყვიის ტყორცნელებით და ხანჯლებით, როგორც კორიანტელი, ისე მოგვდევდა. გაგვიყვანეს კარგ ადგილზე. ქვეითა ჯაოძა სასწაფო თბილისი გაიკეთა თავის დასამალად. ხარბანები გამოწყობილ ოთივ მხრიდან. გადაწყვეტეთ, ოთ მთლად მატარებელს ანადგურებენ. შეთბეკდილება ასეთი იყო. კოზისრები ძლივ ავაკეკდნენ დენატუატით გალეშ ლ „ბოლშევიკებს". გაჩერდა მატარებელი. მე ფანჯარასთან ვზიავარ, ეწაოე ფიქრები სასწრაფოდ ბოქრიან, როგორც კიბე-მატარგოფის ლენტი უკანად უკანა ბრისკენ გავეფენ და ასეთი სურათი დაეინახე: ჩვენი მატარებლიდან გადმოუყვანიათ ხალხი, რიცხვით 18 კაცი, შემოხვევია შეიარაღებულ ჯარისკაცთა ბრბო და მიჰყავთ ზოგი უქუდო, ზოგი უპალტოოდ: შორი ახლოს ლ ოთ მ ჰყვ ეოთი ფეშალი ქალი, რომლისთვ ცა ჯარისკაცს კი ეოში თოფის ყუა დეოტყა.

ამ თოქსეტ კაცში იყო სხვათა შორის ჩვენი გაზეთის თანამოზოველი მრ. ბაბამიშვილი. ალარ ვაშორებ თვალს, ყოველ წვრილმანს დიდი ყურადღებით ვეკიდები. კარგა შორს გაიყვანეს. ველარ ვხედავ ბიერიანად, მაგრამ თვალებს ძალას ვატან. ბოლოს რაღაც ჭალა იყო. იქ შეიყვანეს და თვალს მოეფარნენ. ყველამ გადავწყვიტეთ, რომ ისინი დასახვრიტად წაიყვანეს და ვეებრალებოდნენ. ჩვენი თავი ჯერ უკეთეს მდგომარეობაში ვვეგონა. მაგრამ არ დაოგვიანდათ, კვლავ ახალი ხალხი შემოიჭრა ვაგონში, და გასცა ბრძანება, მინდორში გამოიყვანეთ ხალხი. თან დაკაზმულ რუსული ეხით გვაგინებენ. ზოგიერთმა ჩვენგანმა სთქვა კიდეც, რომ წითელი დროშებით გადავიდეთო, მაგრამ ისეთი ხალხი შეოგვეჭრა ვაგონში, რომ წითელი დროშა კი არა, თავიც დაგვავიწყებინეს.

გაგვიყვანეს მინდვრად. დაგვაყენეს მატარებლის დაბლა, ფერდობზე. მე მოგვარტყა ალყა ჯარმა, და დავიცინეს, გვეუბნებიან ეს „ბოლშევიკური" ბრბო ისე, როგორც შეუძლიან დაცინვა სინდის გადარეცხილ და ვ ძკ ცობა დაკარგულ მზშიარა ავაზაკებს. სათითაოდ გადავყვ ვდით, და ყოველ ახალ კაცის დანახვაზე ასტყდებოდა ლანძღვა, დ ცინვ და მუქარა. ჩვენ, ზოგიერთები ეიყოწყვით ფერდობზე იმ აზრით, რომ ალოლის დროს წაქცევა მაინც ალარ დაგვ ჭ რდებაო. ბრბო თითქო მ ხვდა ჩვენ ფ ქრსო, ცინიკური დაცინვით გაბ ოგ ბაოო: „დაწექთ, დაწექთ სიკვდილი ეარე უფრო გაგიდვილდებათო". ხალხი მაინც გვემატება. გადმოჰყავთ მატარებლიდან დ. წერეთლის ეეულ ლ, ოთი ოვამეი. ეოთი ძეძეაწყოვარია, მეორე სამი წლის. როგორც ბტრედ ს თეთრი ბ ხალები, ისე მოჰყავდა მეწუხებულ ოდგან ორი შვილი, მკერდზე ჩაკრული. ამ სურათმა უფრო გაამლიერა ტრაგედია, ჩვენ ბ ტახ ჯ ელი.

დ ეკა ცრემლით მიმართავდა გარმეოოტ ულ ჯარის კაცებს, მათგან კი ხმელი პასუხი გაისმოდ; „ჩვენ გული ალა გვაქვს"-ო, და შეძდეგ ისევ ლანძღვა, უ ვერი, ფრთა შ ეუ ოავი, ყოიდა ოუ ული. ყველა რიო ჩ ა ა ეუბეეა, ვინც ჩამოსაყვანად ეჩ ენთან, ოეედგ გაეოდგა ეოთი ეეერეთი ჯ ა ოისკაცი, გალ ემილი და დაიწყო „ეოეეი". სადა იყო მაინ სიტყვ ა, ოოკ ლ ე და ბინძური. ლანძღვით ბოთოს მოუ ეედ ედა, კომეოოეობის ბრძანებას ხ ა ადაუცდ ით, ეხლავე დავბვიტ ოთო ბ ბ ა კვეოს უკ ოავ ა და ია ბ ოის ახ ლი ოოატ ორი გადაჭ ვის ხალხ ა. ბ ოუ ეოდ ებს დავიცადოთო. მას ხვა ხ ა ლგაბ ა ა ს ცვლის, ოოოელიც ა ვ ლ ა ა ბ ოუ ეოდ ებს ბ ბ ოს ჩვ ე ი დასახ კ ოუ ტ ლ. ეელარ ბ ოვ ბ ბ ნ ე უ ი ტ ყვ ბ ა. სიკვდილს უკვე შ ე ა ო ი ბ ე ი. ე ბ ო ი ს ე ბ ვ ლ ი ლ ა ბ ე ბ ბ ა, ა ო ბ ბ ა ბ ბ ბ

ბულობდნენ პოლკში განურჩევლად ხნოვანებისა და ჯანმრთელობისა. როგორც ადგილობრივ დაკითხვიდან გამოირკვა, წალკიდან მოსული ბერძნები შედიოდნენ პოლკში იარაღის დაპატრონებისა და ქონების შეძენის მიზნით, ხოლო შემდეგ იარაღისა და ტანსაცმელის მიღებისა გარბოდნენ წალკაში და თანდათან ავსებდნენ დეზერტირების ბანაკს. სულ წაულიათ 600—700 თოფი, აუარებელი ინვენტარი და სურათი. ქონების დატაცება და იარაღის გაზიდვა დიდ უკმაყოფილებას იწვევდა ადგილობრივ მცხოვრებლებში. შეუძლებელია იმის თქმა, რომ ქართველი მცხოვრებნი სხვაგვარად მოიქცეოდნენ, მაგრამ ფაქტი იარაღის დატაცებისა და ინვენტარის გაზიდვისა ელლინთა მიერ უტყუარის ცნობებით მტკიცდება. რაც შეეხება დამოკიდებულების გამწვავებას პოლკის და მცხოვრებთა შორის, უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი ქართველობა დიდის თანაგრძნობით შეხვედრია მანგლისში ბერძენთა პოლკის გამწესებას. დამოკიდებულების გამწვავება გამოიწვია ქონების დატაცებამ, ხოლო ამ საქმეში აქეზებდნენ ჯარისკაცებს თითო-ოროლა ბერძენი მოდგაწეები, როგორც მაგალითად, მდედელი გარიბოვი, პოლკოვნიკი ეგანგელიდი და პრაპორშჩიკი აკრიტოვი. განსაკუთრებით უკანასკნელის შესახებ მოწმეთა ჩვენებიდან ბევრი რამ გამოირკვა ისეთი, რომ ამ ადამიანის ადგილობრივ დატოვება დიდ ზიანს მოუტანს ეროვნებათა შორის კეთილგანწყობილებისა და საერთო მშვიდობიანობის საქმეს. საერთო განწყობილება ამ პოლკში ისეთი ყოფილა, რომ არავის არა სურს ფრონტზე ან სხვა ქალაქებში წასვლა. ამას წინად ყარსში ორი როტის გაგზავნის მოწერილობაზე პოლკს უარი უთქვამს. რაც შეეხება ჯარის რევოლიუციონურ განწყობილებას, ამ მხრით საყურადღებოა განცხადება ერთი მოწმისა, რომელმაც ელლინთა პოლკი არა-რევოლიუციონურად დასახა და სიტყვასიტყვით შემდეგი სთქვა: „ბევრ რაიმედი უნდა გვქონდეს იმ პოლკის, რომლის ჯარის-კაცებს არქვიდან გამოაქვთ რომანოვთა იუბილეის ნიშნები და გულზე იკეთებენო“. პოლკის უფროსი, როგორც გამოირკვა ჩვენებიდან, ქონების დატაცების წინააღმდეგ არ ღებულობდა შესაფერ ზომებს. მართალია, ყოფილა მაგალითი, რომ გაუგზავნიათ წალკაში შეირაღებული რაზმი დეზერტირების დასაჭერად და მათთვის იარაღის ჩამოსართმევად, მაგრამ თვით გაგზავნილებიც დეზერტირებს უერთდებოდნენ და ადარ ბრუნდებოდნენ უკან. ასეთი უდისციპლინობაა ჯარში მიუხედავად იმისა, რომ როტის კომიტეტები გაუქმებულია და ერთ-ერთ პირობად ქართველებს, რომელთაც განზრახული ჰქონდათ ამ პოლკში შესვლა, იმას უდგენდნენ, რომ კომიტეტები გაუქმებულია და ძველ დისციპლინას უნდა ელამორჩილოთო.

ექსცესები.

ექსცესებს პოლკსა და მცხოვრებთა შორის არა ერთხელ ჰქონია ადგილი. სულ ყველა გამწვავული იყო იარაღის და ქონების გატაცების ნიადაგზე. ადგილობრივი მილიციონერები აჩერებდნენ გზაში ქურდ ჯარისკაცებს, რომელთაც უმეტეს შემთხვევაში დამ-დამობით ფურგუნებით გადაქონდათ იარაღი და ქონება წალკაში. ერთხელ უცემნიათ მანგლისის მოედანზე დელეგაციის წევრ ექიმისათვის, რომელსაც მცხოვრებთა შეკითხვაზე, თუ რად ურიგებენ იარაღს თათრებსაო, განუცხადებია: თათრებიც ხომ თავისუფალი მოქალაქენი არიანო. საერთოდ ადგილობრივ მცხოვრებთა შორის მეტად გავრცელებულია, ხმები, რომ იქ, ტფილისში, რევოლიუციონური ორგანოები იარაღს ურიგებენ თათრებს, ხოლო სხვა ქრისტიან ეროვნებს კი უყურადღებოდ სტოვებენ. ბევრმა გამოსთქვა ასეთივე უკმაყოფილება ტფილისის მაზრის კომისარის მოქმედების გამო. შიში თათრობისა იქ განსაკუთრებით იმიტომ პოულობს ნიადაგს, რომ მკვიდრნი ცხო